KA021753059523916

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.5

N13/57335

08 / ნოემბერი / 2016 წ.

სსიპ სერგეი მესხის სახელობის წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის საჯარო სკოლას

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სსიპ სერგეი მესხის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კ. N29.06.37.085) 80.2 კვმ. ფართის, არსებულ ინვენტართან ერთად იჯარით გაცემაზე თანხმობას გაცნობებთ, რომ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრი არ არის წინააღმდეგი 80.2 კვმ. ფართის, არსებულ ინვენტართან ერთად სახელოვნებო სტუდიის ფუნქციონირების მიზნით იჯარით გაცემაზე, არაუმეტეს ერთი წლის ვადით იმ პირობით, რომ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უძრავი ქონება უნდა გაიცეს აუქციონის (ელექტრონული), საჯარო)) ფორმით, თუ აღნიშნული შეთანხმებულია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან (თქვენს შემთხვევაში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან).

ასევე გაითვალისწინეთ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც უნდა წარმოადგენდეს იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის მიერ შედგენილი იჯარის თანხის ოდენობის დამდგენი გადაწყვეტილებით. ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ სერგეი მესხის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსი

ირაკლი რაზმაძე